

ტუბერკულოზის მართვა
(მოსარგებლეთა გზამკვლევი)

ტუბერკულოზი ინფექციური დაავადებაა, რომელსაც ტუბერკულოზის მიკობაქტერია იწვევს. ტუბერკულოზის მართვის სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებს ტუბერკულოზის დიაგნოსტიკისთვის საჭირო გამოკვლევებს და ასევე სამკურნალო მედიკამენტებს მკურნალობის სრული კურსის განმავლობაში.

სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება ანაზღაურდება სრულად და არ ითვალისწინებს თანაგადახდას პაციენტის მხრიდან.

პროგრამის მოსარგებლები არიან:

- ✓ საქართველოს მოქალაქეები, საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე ტუბერკულოზით დაავადებული პირები, ფილტვისა და ფილტვგარეთა ტუბერკულოზის დადასტურებულ შემთხვევებში. ასევე, ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მედიკამენტების მიღება შეუძლიათ საქართველოში დროებითი ბინადრობის ნებართვის მქონე სტუდენტებს, რომლებიც სწავლობენ საქართველოში ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
- ✓ პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი პირები;
- ✓ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის მიმღები და დროებითი განთავსების ცენტრებში მყოფი უცხოელები.
- ✓ ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებული პირის კონტაქტები.

პაციენტი, ოჯახის ექიმის მიმართვით ან თავად (თვითდინებით) შეიძლება მივიდეს პროგრამაში მონაწილე დაწესებულებაში. საწყისი ვიზიტის შემდეგ ფტიზიატრი ურჩევს ჭირდება თუ არა ჰოსპიტალური მკურნალობა. ტუბერკულოზის შემთხვევების მკურნალობა წარმატებით არის შესაძლებელი ამბულატორიულ პირობებში- მთავარია მედიკამენტების მიღების რეჟიმის დაცვა. საჭიროების შემთხვევაში, ფინანსდება ტუბერკულოზთან დაკავშირებული ქირურგიული მკურნალობაც და რთული გამოკვლევებიც.

ამბულატორიული მომსახურების მისაღებად მოსარგებლემ უნდა მიმართოს პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებას ან ტუბერკულოზური პროფილის მქონე სამედიცინო დაწესებულებას.

სტაციონარული მომსახურების მისაღებად მოსარგებლემ უნდა მიმართოს მომსახურების მიმწოდებელ შემდეგ სამედიცინო დაწესებულებებს: სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრს“ (თბილისი); შპს „ქ. ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალურ ცენტრს“ (ბათუმი); შპს „ზუგდიდის რეგიონულ ტუბსაწინააღმდეგო საავადმყოფოს“ (ზუგდიდი); შპს შპს "ლჯ და კომპანია" - დასავლეთ საქართველოს ტუბერკულოზისა და ინფექციურ პათოლოგიათა ცენტრს" (ქუთაისი).

ტუბერკულოზზე სავარაუდო შემთხვევის დიაგნოსტიკის მიზნით, პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული გამოკვლევებიდან, ექიმი იღებს გადაწყვეტილებას, რომელი გამოკვლევაა საჭირო კონკრეტულ შემთხვევაში.

გამოკვლევების ზოგადი ჩამონათვალი:

- ფტიზიატრის კონსულტაცია (+ კაბინეტის მედდა)
- სპეციალისტის კონსულტაცია (შესაბამისი დარგის)
- რენტგენოგრაფია
- სისხლის საერთო ანალიზი
- მანტუს სინჯი
- ნახველის ანალიზი
- შიდსზე და C ჰეპატიტზე ანალიზი
- ექოსკოპია
- პლევრის პუნქცია
- პუნქტატის კლინიკური ანალიზი
- პუნქტატის ციტოლოგიური ანალიზი
- პუნქტატის დათესვა არასპეციფიკურ ფლორაზე და ანტიბიოტიკოგრამა

თუ ამ გამოკვლევების შემდეგ ტუბერკულოზის შემთხვევა დადასტურდა, პაციენტი მკურნალობას გააგრძელებს ფტიზიატრის მეთვალყურეობის ქვეშ.

მკურნალობისთვის პაციენტს უფასოდ გადაეცემა მედიკამენტები, რომელიც უნდა მიიღოს სამედიცინო პერსონალის უშუალო მეთვალყურეობით და ამისთვის მიმართოს დადგენილი რეჟიმის იმ სამედიცინო დაწესებულებას, სადაც აღრიცხვაზე იმყოფება. ან გამოიყენოს ვიდეო მეთვალყურეობის პრინციპი, ექიმთან შეთანხმებით.

დადასტურებული დიაგნოზის შემთხვევაში, პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული გამოკვლევებიდან, ექიმი იღებს გადაწყვეტილებას, რომელი გამოკვლევაა საჭირო კონკრეტულ შემთხვევაში.

მკურნალობის პროცესში პროგრამაში გათვალისწინებულია შემდეგი გამოკვლევები:

სენსიტიური ტუბერკულოზის შემთხვევაში:

- ფტიზიატრის კონსულტაცია (+ კაბინეტის მედდა)
- რენტგენოგრაფია
- სისხლის საერთო ანალიზი
- შარდის საერთო ანალიზი
- შიდსზე და C ჰეპატიტზე ანალიზი- სწრაფი მარტივი
- ღვიძლის ფუნქციები (ALT, AST, ბილირუბინი და კრეატინინი)
- გლუკოზის განსაზღვრა სისხლში
- გამაგლუტამინტრანსფერაზას განსაზღვრა
- ტუტეფოსფატაზას განსაზღვრა
- პათოლოგიური მასალის ბაქტერიოლოგიური კვლევა (სკოპია)
- პათოლოგიური მასალის ბაქტერიოლოგიური კვლევა (კულტურა)

რეისტენტული ტუბერკულოზის შემთხვევაში:

- ფტიზიატრის კონსულტაცია (+ კაბინეტის მედდა)
- სპეციალისტის კონსულტაცია (შესაბამისი დარგის)
- რენტგენოგრაფია
- სისხლის საერთო ანალიზი
- შარდის საერთო ანალიზი
- შიდსზე და C ჰეპატიტზე ანალიზი
- ღვიძლის ფუნქციები (ALT, AST, ბილირუბინი და კრეატინინი)
- ელექტროლიტები (K, Na, Mg) განსაზღვრა
- B და C ჰეპატიტების მარკერები
- კრეატინინი შრატში
- გლუკოზა სისხლში
- საერთო ცილა
- ალბუმინი
- კოაგულოგრამა
- ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონები (TSH)
- ლიპაზის ტესტი
- ელექტროკარდიოგრამა
- აუდიომეტრია

პროგრამის ფარგლებში, ამბულატორიულ რეჟიმში მყოფი პაციენტისთვის, განკუთვნილია ფულადი წახალისება მედიკამენტების რეგულარულად მიღებისათვის. ფულადი წახალისების გაცემა ხორციელდება პირად საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით. ფულადი წახალისების ოდენობა სენსიტიური ფორმის ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტისთვის შეადგენს 160 ლარს მკურნალობის პერიოდში, ხოლო რეისტენტული პაციენტისთვის - 100 ლარს თვეში, მკურნალობის პერიოდში.

პროგრამა ასევე, ითვალისწინებს ლატენტური ტუბერკულოზის მკურნალობას მაღალი რისკის ჯგუფებში. ლატენტური ტუბერკულოზია - როდესაც პირი ინფიცირებულია, მაგრამ არ აქვს ტუბერკულოზისთვის დამახასიათებელი ნიშნები.

ლატენტური ტუბერკულოზის მკურნალობა უფასოდ ხორციელდება შემდეგი პირებისთვის:

- ✓ ტუბერკულოზით დაავადებულთან კონტაქტში მყოფი პირები;
- ✓ აივ ინფიცირებულები;
- ✓ დიალიზზე მყოფი პაციენტები;
- ✓ მადაროელები;
- ✓ პატიმრები;
- ✓ მიგრანტები ტუბერკულოზის მაღალი ტვირთის ქვეყნებიდან;
- ✓ უსახლკაროები;
- ✓ საინექციო ნარკოტიკების მომხმარებლები.

საზოგადოებაში ტუბერკულოზის გავრცელების აღკვეთის მიზნით, პროგრამაში გათვალისწინებულია ეპიდემიური ზედამხედველობა, რომელიც მოიცავს: ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებულთა კონტაქტების კვლევას, როდესაც ეპიდემიოლოგი უზრუნველყოფს კონტაქტების ინფორმირებულობას და მიმართვას ტუბერკულოზის სერვისის მიმწოდებელ სამედიცინო დაწესებულებაში; გამოვლენილი კონტაქტების გადამისამართებას სერვისის მიმწოდებელთან; მეთვალყურეობიდან დაკარგული პაციენტების მოძიებას; მათთან და პენიტენციური დაწესებულებებიდან გათავისუფლებულ პირებთან მუშაობას.

მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებები იხილეთ:

<https://nha.moh.gov.ge/storage/files/shares/Momwodebeli%20dawesebulebebi/tuberkulozis%20martvis%20saxelmwifo%20programa.pdf>

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ სამინისტროს ცხელ ხაზზე 15 05